# იმერეთი

ფასი: წლიურად 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურად 3 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერელებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილადაც გადიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილადაც. სახღვარგარეთ წლიურად 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურად 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტში ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კაკვასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დამეტებეი პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანეთი.

შაბათი 21 ივნისი

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „იმერეთი“

თფილისის ქუჩა, ფარანდოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესასვლელში. სახლი ოცხელასა.

ტელეფონი № 4.

№ 85 — ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე 1914 — № 85



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „იმერეთი“

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლით | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | 3 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | 1 შაური. |

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. სახღვარგარეთ გაზეთი წლიურად ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურად 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთის ეთმობათ წლიურად 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურად 3 აბაზით.

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** redакция „ИМЕРЕТИ“ Гаврилу Ивановичу Дарахвелидзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქალაქის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაუფუჭველად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წერილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.



პიათურელი მეგობრები და ამხანაგები მწუხარებით აუწყებენ პიათურის საზოგადოებას, რომ კვირას, 22 ივნისს, დანიშნულია პანაშვიდი უდროოთ დაკარგულის

## მელიტონ გობეჩიას

სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდი გადახდილ იქნება ადგილობრივ თეატრში შუადღის 12 საათზე.



## ქუთაისი
## პირველი პერმო სამკურნალო
სპეციალისტი ექიმებით.

**მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

**დილით.**

ბრიგტ-დოქტორი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი ვ. პ. მოსეშვილი შინაგანი და ნეკრების.

| | |
|---|---|
| ბ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა. | 1—2 |
| გ. ს. ნადარაძე.—შინაგანი და ბავშის | 10—11 |
| ს. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, სამებრო ყოველ ღღე | 11—2 |
| მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათა შინგი, ვენერ. | 12—2 |
| გ. ა. ჭოდოშვილი—სამებ., ქალთა და შინაგ. | 12½2ვ |

**საღამოთ.**

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით | 4½—5½ |
| გ. ა. ჭოდოშვილი—სამებრო, ქალთა და შინაგ. | 5½—6/ |

სამკურნალოოსთან მოწყობილია საა.ქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესახებ კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, პერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგება. ტელეფონი № 53

**სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოდოშვილი**



ექიმის იგ. ბოგერიას

## საავათმყოფო

გადაეიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მისიელის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.



სპეციალური წიგნის მაღაზია

## კოსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.

(ქუთაისში.)

აცხადებს, რომ იგი იწერს დიდძალ წიგნს რუსეთისა და საქართველოს ფირმებისაგან, რომლებზედაც მას აქვს პირდაპირი და საღავათიანი დამოკიდებულება, და გამოწერილ წიგნებს უკეთებს საუკეთესო ყდას ახლად გამართულს საკუთარ საკაზმე სახელოსნოში.

ამის გამო მას, როგორც სპეციალურს და უდიდეს წიგნის მაღაზიას ქუთაისში, ეძლევა საშუალება დაუთმოს წიგნები მეტად საღავათიანი პირობებით ყველა განმანა-ლებელ დაწესებულებას: სკოლებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს და სხვ. პროვინციის წიგნის მაღაზიებს მიეცემათ ის დათმობა, რაც შეეძლოთ მათ მიიღონ რუსეთიდან წიგნების პირდაპირი გამოწერით, თუ იგინი ერთი თვით აღრე დაიკვეთენ წაგნებს.

მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ ქართულისა და რუსული წიგნების ახლად შედგენილი კატალოგები.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია საუკეთესოთ მოწყობილი **საკანცელარიო მაღაზია დ. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება ყოველგვარი საკანცელიარიო და სასწავლო ნივთი მეტად ზომიერ ფასად.



გაზ. „იმერეთის“ ხელის მომწერთა

## საყურადღებოთ

რედაქცია სთხოვს გაზეთის ხელის მომწერთ გაზეთის ხვედრი ფული წარმოადგინონ, წინაალმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით გაზეთის გზავნა შევსწყვიტოთ.



## „რადიუმი“

ხუთშაბათიდან, 19 ივნისიდან, ახალი დიდი პროგრამა.

**პატე ჟურნალი** ქრონიკა ქვეყნისა

საუცხოვო დრამა! საუცხოვო სურათი! სილამაზის შედევრი! შედევრი კინემატოგრაფიული ხელოვნებისა!

### უბედურობის დროს ვსცნობთ მეგობრებს

ანუ

## მანდილოსანი ბალეტიდან

საუცხოვო დრამა 4 განკ. მხატვრული ფერადებით, გასაცვიფრებელი სილამაზისა. ჰოლონდია, სადაც სწარმოებს მოქმედება იძლევა მშვენიერ, მომხიბვლელ სურათებს და აძლიერებს შთაბეჭდილებას.

### ქმაწვილი ნაპოლეონის როლში

კომიკური სურათი.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

**ანონსი:** ამ დღეებში ნაჩვენები იქნება ახალი სურათი „**საიდუმლო ჯარისკაცისა**“.



## თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა
კურსების ძაღლეული წელის **აბანო.**

რომელიც იმყოფება ბელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯავანძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ეს ორმოცდა ათი საეენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯავანძისთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კურსების აბანო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშვების საყმაწვილოს. გიმაოია,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

ბატონებო! **გ. მ. არჯავანძე.**



## სამკურნალო აბანო

**ძმ. ჟორჟოლაძეების**

სადგურ ხრესილში (სერნია ვოდში) ტეიბულის რკინის-გზის შტოზე

**ოქვენი თკალით იხილეთ და ლარწ'ძუნდებით.**

ეს წყალი, როგორც ნამდვილათ გამოირკვა, კურნავს ბრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობისაგან, უმეტესათ კი: ქარების, (რევმატიზმის) თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარიისაგან) და აგრეთვე აღორძინებს სუსტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც, ხსენებული აბანო მდებარეობს ტყიბულის რკინისგზის შტოზე სადგურ „სერნია ვოდში“. აბანო არის სადგურზე დაშორებული 150 საჟენთ, მისელა-მოსკოა და ხაბაკის გადაზიდვა ძლიერ იოლია, ვინაიდან ქუთაისიდან დღეში ორჯერ გადის და მოდის მატარებელი სადგურ „სერნია ვოდში“ აქვეა სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ზომიერია. აბანო მუდმივ მუშაობს.



ამით ვაცხადებ ხელის მომწერთა საყურადღებო, რომ ია ეკალაძის თხუზულებათა მეორე ტომის ბეჭდვა, ავტორის მოუცლელობისა გამო, დაიწყება მაისის დამლეგს

(როგორ მოწაფეები დასრულდა იქნებიან სასაფუძველოდ.)

**წიგნს დართული ექმნება ერცელი ავტობიოგრაფია—მოგონებანი ქართველ მწერალთა, ინტელიგენციისა, რედაქციებისა, მოძრაობისა და საზოგადოების ცხოვრებიდან ამ უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში.**

ვსთხოვ პროვინციის აგენტებსა და ხელის მომწერელებს მიწერ მოწერა იქონონ თვით ავტორთან,

ადრესი: ქუთაისი, კათოლიკეთა ქუჩა, № 28.

**გამომცემელი.**



**ექიმი** ბ. ა. **მირაქვი** დაბრუნდა რუსეთიდან და გაახლო ავათმყოფების ყურის ცხვირის და ყელის.

დილის 9 ს.—12 ს., საღ. 5—8. ლევაშოვის ქუჩა საკუთარი სახლი № 19, შეიძლება ივანოვის ქუჩიდანაც № 18.

**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოკენტი **გ. ბ. ძოლეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 9 საათ.—ნაშუადღევის 2 საათამდი.

გოშიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.



ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი ვ. ი. კაკატელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელეკტრონით შანაობა (ცისტოსკოპით) ათა მანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელეკტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელეკტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.



**ექიმი ა. მ. ასათიანი** ღებულობს ავათმყოფებს. ქალის, **გენერალური** (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელეკტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).



**ექიმი ი. ჩარექოვი** იღებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გოგორინის ქუჩა, ბოდიგების გვერდით, ფარანდოვის სახლში. თ.



ქ. ქუთაისში

კბილის ექიმი

## ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.



**ჯგუფი სტუდენტ სპეციალისტებისა უსწორებს გაკვეთილებს** და ამზადებს მოწაფეებს ყველა საშუალო საწავლელებისათვის. ადრესი: ქარვასლის ქუჩა ჩარექოვის სახლი № 13.



ხალეთო სკოლის მასწავლებელთა

## საყურადღებოთ

ქუთაისში, გ. ბალუსტოვისა და ძმათა ოცხელების წიგნის მაღაზიებში, იყიდება ქართული საღეთო სკოლის წიგნი სამი წლის კურსით, შედგენილი ღვდ. აბითარ იაკობიშვილისაგან. წიგნში მოთხრობები სიმეორო სარწმუნოებისა და ღვთის მსახურებაზე მდიდრულათ არის დასურათებული (130 სურათით); არის დაწერილი მომტეხელი მარტივი ენით და მრავალი კითხვებით, რითაც თვით წიგნი იზიდავს მოწაფეთ და ძრიელ შთაბეჭდილებას ახდენს მათზე. წიგნი ღირს 2 აბაზათ. ვინც 10 ცალზე მეტს იყიდის, მათ 32 კ. დაეთმობათ. ვურჩევთ ყველას, ისარგებლონ ამ მშვენიერი სახელმძღვანელოთი.








შემთხვევით

## იყიდება

ხელმისაწვდომ ფასში საბაკალეინო დუქანი მთელი მოწყობილებით

**ადრესი:** სტანდა „ძმობა“ ბუშკინის ქუჩა, გოგელიანის სახლი ავითხეთ ანთამოლ ქორაძე.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი — ქვრივი როკსან ახვლედიანის ასული ჭიჭინაძისა, შვილები: იოსები, პეტრე, ლუარსაბ, ნესტორ, შალვა და ლევან ჭიჭინაძენი; ანეონა ალექსანდრა (საშა) ჯაფარიძისა, ქრისტინე წულუკიძისა, მარიამ ჯაფარიძისა და თამარი ნიკოლოზ ჭიჭინაძის ასული, ანნა ჯაფარიძის ასული და ეკატერინე ლუარსაბ იშხნელის ასული ჭიჭინაძენი; ქვრივი ტერეზია ლუარსაბის ასული ჭიჭინაძისა შვილებიფურთ და რძლები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი ძვირფასი მეუღლისა, მეორენი დაუვიწყარი მამისა, მესამე მამამთილისა, მეოთხენი მაზლისა და ბიძისა.

## ნიკოლოზ (ნესტორ) ლევანის ძის ჭიჭინაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება დანიშნულია სოფ. ხოტევს (რაჭის მაზ.) დღით კვირის, 22 ივანობისთვეს.

## ხონის კურსები.

როგორც გამოცხადებული იყო, 15 ივნისს ხონის საოსტატო სემინარიის დარბაზში გაიხსნა კურსები ქუთაისის სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის. საუბედუროთ, კურსებზე იმდენი მასწავლებელი არ გამოცხადებულა, რამდენიც მოწვეული იყო, მაგრამ, საერთოდ არც ისე მცირე იყო მათი რიცხვი. კურსებზე თითქმის ყველა მასწავლებელს წინასწარ წარმოდგენილი შეხედულება ქონდა, ყველა ფიქრობდა, რომ სამისწავლო მთავრობა უკვე მრავალჯერ განვლილ გზაზე გაივლიდა, მაგრამ, სასიხარულოთ, ეს ასე არ მოხდა.

მოხდა ის, რასაც არ მოველოდით, რისი წარმოდგენაც არ შეგვეძლო, კურსები გახსნა ქუთაისის სახალხო სკოლების დირეკტორმა ვიშნევსკიმ, რომელიც მოკლე სიტყვით გრძნობიერთან შეხედა მასწავლებლებს და უსურვა მათ ძალ-ღონე და ენერგია ნაყოფიერ შრომისათვის. ბ. დირეკტორმა განუცხადა მასწავლებლებს, რომ კურსების ხელმძღვანელთან მოწვეულია ძლიერ გამოცდილი და მცოდნე პედაგოგები, როგორიც არიან ბ.ბ. ა. ჭიჭინაძე, ბელსკი, გიგინეიშვილი და სხვები, რომლებთანაც თქვენ შეგიძლიათ სრულიად თავისუფლათ ილაპარაკოთ ყოველივე საკითხზეო. მოკლე გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა, სემინარიის დირეკტორმა ბ. ა. ჭიჭინაძემ, რომელმაც მასწავლებლებს უსურვა, რომ კურსებს ახალი ცოდნა და გამოცდილება მიეცეს მათთვის, რათა განახლებული ძალღონით, ენერგიულათ მოკიდებოდნენ ასეთ დიდ საქმეს, როგორიც არის ხალხის სწავლა-ბაო. ამას შემდეგ ბ. გიგინეიშვილმა ლიტერატურიდან მოხდენილი ლექცია წაიკითხა, რომლის შესახებაც ვეცდებით, შემდეგ წერილში ვილაპარაკოთ. ლექციის შემდეგ სემინარიის დიდ ზალაში გამართა სადილი, რომელსაც არაჩვეულებრივი ელფერი დაედვა. წარმოითქვა მრავალი საყურადღებო სიტყვა.

აღსანიშნავია ბ. მამალაძის სიტყვა კურსების ხელმძღვანელ ინსპეკტორის მიმართ. ბ. მამალაძე მოკლეთ შეეხო ძველ სახალხო სკოლების ინსპეკტორებს, დაახასიათა მათი პოლიტიკანობა და უსურვა ახალ ინსპეკტორს ამ სენის თავიდან აცილება და სახალხო სწავლა-განათლების მტკიცე ნიადაგზე დამყარება. მასწავლებლებმა ერთხმად მხურვალე ტაშისცემით უასურხეს ბ. ს. მამალაძეს.

აღსანიშნავია აგრეთვე ბ. გიგინეიშვილის სიტყვა მასწავლებლებისადმი, რომელშიც მან მოკლეთ გამოსთქვა ის აზრი, თუ რას უნდა ემსახურებოდეს მასწავლებელი. მან სთქვა, რომ ყველაზე მეტი ჯილდო მასწავლებელთათვის უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ **ხალხის მადლობა**, რომელშიც ბევრი რამაა ჩაქსოვილი და რომლის დამსახურებასაც უნდა ცდილობდეს ყოველი ჭეშმარიტი მასწავლებელიო. მასწავლებლებმა ხანგრძლივი ტაშისცემით დაჯილდოვეს ბ. გიგინეიშვილი.

დირეკტორი ვიშნევსკიც თანაგრძნობით შეხვდა მასწავლებლებს. სადილს მრავალი სახალხო განათლების საქმეში მეგარი პირი დაესწრო და სწორეთ გეკვირვებდა მათი საზოგადო მზრუნველობა მასწავლებლებისადმი. თითქოს ყველა თანაუგრძნობდა მათ, ყველა ხელს უწვდიდა და მამაშვილურათ ეპყრობოდა.

წარმოიდგინეთ დირეკტორმა ვიშნევსკიმ პირველათ მოიგონა ერთ-ერთი სახალხო მასწავლებელი, რომელსაც სწორეთ იმ დღეს უსრულდებოდა ოცდაათი წელი სამსახურისა და სადღეგრძელოსთან ერთად მისალოცი დეპეშიც კი გაუგზავნა. წარმოუდგენელი იყო იმ წუთებში მასწავლებლების სიხარული. მრავალგზით შევიწროებულებს ცოტა ხნით ყველაფერი დავიწყნდათ და სულიერ შვებას მიეცენ. ისინი ფიქრობდენ, რომ სწორეთ ამ დღიდან იწყება ჩვენი დაფასებაო. მართლაც ფრთა შესხმული იყო მათი სიხარული. ყველა გამოფხიზლებულიყო, მათში, რაღაც აღფრთოვანება და მოძრაობა სუფევდა, რაც დღიმდეს იძლეოდა. თითქოს ქარწყლდებოდა დღევანდელი შეხედულება მათზე...

არა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მასწავლებლები არც ისეთი არიან, როგორც ამას ამტკიცებდენ ზოგიერთები, პირიქით, მათში დიდი ძალაა დამარხული, რომელიც თანდათან ირკვევა და იღვნება.

ჩვენ გვწამს, რომ დადგება დრო, როცა ყველა მასწავლებელი გამოიფხიზლებს და შეერთებული ძალით გზას გაიკაფავს უკეთეს მომავლისაკენ.

ვისურვებთ კურსების ხელმძღვანელების სიტყვიერი თანაგრძნობა საქმითაც გამართლებულიყოს და, ბ. ა. ჭიჭინაძის სიტყვებით რომ ვსთქვათ, მასწავლებლები განახლებული ძალით მოკიდებოდენ სახალხო საქმეს და განათლების სხივებით მედგრათ გაეფანტოსთ სოფლათ გამეფებული სიბნელე.

დ. ამერელი.

## სადაა სამართალი?..

სწორეთ ასეთი კითხვა გვიდგება თვალწინ, როდესაც ჩვენ უკვირდებით შინაარსს ვერონა-სამეგრელოს ეპარქიის სამოქვლო შკოლების მასწავლებელთა დღევანდელ პედაგოგიურ კურსებს.

გვიკვირს, როდესაც გაზ. „იმერეთის“ 81-ე №-ში ვკითხულობთ შემდეგს: „პედაგოგიური კურსების ლეკტორი ბ-ნი მკურნალი ისე სიტყვას არ წარმოსთქვამს, რომ გოგებაშვილის სახელმძღვანელობები უდიერათ არ მოიხსენოს“ -- „კურსების მსმენელები-კი მოკლებული არიან პასუხი გასცენ ასეთს საზიზღარ საქციელს ბ-ნი ლეკტორისას, რომელიც აშკარათ მუნჯური მეთოდის უპირატესობას „ქადაგობს“. დიახ! „მოკლებული არიან უფლებას პასუხი გასცენ“ — ეს სიტყვებია, რომ ნაღველს გვრის ადამიანს.

პედაგოგიურ საკითხში, ცოტათ თუ ბევრათ, გაწრთვნილ სოფლის მასწავლებელს, ნუთუ არ უნდა შეეძლოს გამოსთქვას თავისი მცირედი აზრი უსამართლობის წინააღმდეგ, რათა ამით მაინც არის ალღო აუღონ ამგვარს შეუფერებელ მეთოდს სწავლისას, რომელიც მხოლოდ-დამხოლოდ ჩინოვნიკურ სამსახურში გამოიხატება. აშკარაა, რომ ამგვარი „უფლება მოკლებულ“ მუნჯური მეთოდის ხელმძღვანელთ სუთი გვერდი აუქციონ სამართლიან კრიტიკას და „ამ ქვეყნის ძლიერთა“ გულის მოსაგებათ ამგვარი მეთოდი გაავრცელონ სუსტ ხასიათიან მასწავლებლებზე მაინც. მიზანსაც აღწევენ; განა ამას არ მოწმობს ქ-ნ გეგეშნავის გაკვეთილი?

და ამ დროს „უფლება მოკლებულ“ მასწავლებელთ ენა დაუბიათ და უფროსების შიშით საწინააღმდეგო ვერაფერი უთქვამთ. განა შეიძლება ასე?..

ქება და დიდება გეგენავას ქალს, რომ მისმა გაკვეთილმა ასე მშვენიერათ, სრულიად უკრიტიკოდ ჩაიარა, მაგრამ დარწმუნებული იყავით ქ-ნო, რომ ეგ თქვენდამი აღსარებული მეთოდი დროებითია, გავა ხანი და თქვენ მიერ ნაწამებ მოწაფეებს შესაფერ დაღს დასვამს ამგვარი სწავლება — ისინი მხოლოდ მოიოლებიან, მოიქანცებიან და წლის ბოლოს შეგრჩებათ გონება აბნეული მოწაფე, რომელსაც თვითვე არ ეცოდინება, რასაც ლაპარაკობს. მაშინ თქვენ თვითონ უკუაგდებთ ამგვარ მეთოდს სწავლისას და კვლავ დაუბრუნდებით ქართველი ბავშვის ბუნებასთან შესისხლხორცებულს, მის საყვარელ ენის საშუალებით უცხო ენის სწავლებას. ელემენ. პედაგოგიის პრინციპის მიხედვით“, ცხადია, რომ ნაცნობ ენის შემწეობით უფრო ადვე შეითვისებენ უცხო ენას, ვიდრე თვით ამ უცხო ენის შემწეობით. ამას ჩვენ გვიმტკიცებს თვით პრაკტიკული ცხოვრებაც ზოგიერთ იმ ცოტათ თუ ბევრათ ნორმალურ შკოლებისა, სადაც თარგმნითი მეთოდია გაბატონებული.

უმჯობესია დავიწყოთ ჩინოვნიკობას თავი და შევუდგეთ ჩვენი მოვალეობის ასრულებას, ნუ გამოეზარხვთ ჩვენნვე ხელით ჩვენ დასაკლავ დანას და აღარც ისეთ მომაკვდინებელ ცოდვაში ჩავვარდებით, როგორც დღეს ვართ ჩავარდნილი. საქმე ის არის, რომ შეგვიძლია სიმარნელით მოვიპოვოთ დაკარგული უფლება, მაგრამ ამას სრულიად არ ვცდილობთ— ვცდილობთ კი არა, ხელსაც ვუწყობთ, რომ ახალი გაუწრთვნელი თაობა გადაგვარების გზას დავაყენოთ. მაგრამ ვიმედოვნებ მხოლოდ იმით, რომ ნაკლებთ გამოჩნდებიან მიმდევარნი ამგვარ გამაწამებელ მეთოდისა და, პირიქით, გაუწვენ მას ბრძოლას, რომ ამით მაინც არის ბრუნდ გზაზე დამდგარ შკოლებს გაეჭვიტება ააცდინონ თავს და, მონური მუხლმოდრეკილობის მაგიერათ, უსამართლობის წინააღმდეგ სიმართლე დაუყენონ, რათა ეს სიმართლე შეიქნეს ქართველი ერის ნამდვილი სწორი გზის მაჩვენებელი.

ბ—ძის ასულა.

## არქიელის გორა.

(ქალაქის მამათა საყურადღებოთ)

არქიელის გორა ერთი საუკეთესო ნაწილია ქალაქ ქუთაისისა. რომელმა უცხოელმაც უნდა გამოიაროს ქუთაისის უთოლ არქიელის გორაზე უნდა ავიდეს. იქ ნახავს ჩვენს სასიქადულოსა და ძველს საისტორიო ბაგრატის დიდებულ ტაძარს. აქვეა ქუთაისის ძველთაგან უძველესი ციხე. აქიდან სტკბება უცხოთა და შინაურთა თვალნი მშვენიერი ქუთაისის ხილვით. მხოლოდ აქიდან შეიძლება თვალწარმტაცი ქუთაისის სიმშვენიერის განცდა სრულად და უნაკლულოთ, ვიდრე სხვა რომელიმე მხრიდან...

ეს მცირე აღნუსხვა ცხადი და უტყუარია; მაშასადამე, ქალაქის მამათა ყურადღებას არ უნდა იყოს მოკლებული ეს გზა-რა... მაგრამ ეს ასე არ 

✦ ამას წინათ ჩვენ აღნიშნული გვქონდა ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის რეგისტრატორად აღ. ლოლაძე დანიშნესო. ნამდვილათ-კი მას სესხის მოპმწყობ განყოფილების თანაშემწის თანამდებობა მიანდეს და ამ თანამდებობის აღმასრულებელს ი. ჯაფარიძეს-კი რეგისტრატორობა ჩაუბარეს.

✦ ხმენი — ქუთ. პირველი საპოლიციო ნაწილის პოქაული ბ. გრიგოლია სხვა ალაგზე გადაყავთო.

✦ 27 ივნისს ქუთ. სათ.-აზ. საადმ. ბანკში ქუთაისის გუბერნიის, ბათომისა და სოხუმის ოლქის დაბებისა და ქალაქების მამულების საჯარო ვაჭრობა მოხდება.

✦ 19 ივნისს ქუთ. სათავ.-აზ. ბანკის გირავნობის ფურცლები პეტერბურგის ბირჟაზე 78 მანეთად ფასობდა.

✦ 5 ივლისს ქუთაისის ოლქის სასამართლო გაარჩევს გაზეთ „ჩვენი ერის“ რედაკტორის სერგო გერსამიას ორ საქმეს. იგი პასუხის გებაშია მიცემული ბეჭდვითი სიტყვის ინსპექტორის შუამდგომლობით 1034 მუხლის მესამე ნაწილის ძალით.

✦ ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შენდება ქუთაისის ებრაელთა რწმენებულების ყრილობა, ახალი რაბინის და მისი თანაშემწის ასარჩევათ, ნაცვლათ რეუბენ ელიგულაშვილისა და მოშე რიკანაშვილისა.

✦ გუშინწინ „პოდგორნი“ ქუჩაზე ჩხუბის დროს ყურავამ კოსტანტინე ჩახავას თავში კეტი დაჰკრა და თავი გაუპეპეა.

✦ კვირიდან ქუთაისში გამოვა ყოველკვირეული ალმანახი „ბზიკი“ ილ. ნიკურაძის რედაკტორობით.

✦ 17 ივნისს ბაზრის სანიტარმა ვასილ ბეკანდუშვილმა და შავგულიძემ ოქმი შეუდგინეს სანიტარული წესის დარღვევისათვის: მიხეილ ოტიევს, ნატალია ბეგანოვისას, მელიტონ ივანესძე ციროკიძეს, მეპურე ბაგრატ გიორგისძე დვალს, ივანე დავითისძე დადუნაშვილს, ყობო ელასძე შაშუაშვილს, გაბრიელ დავითისძე იაკობიშვილს, მინო შალომასძე შაშუაშვილს, მოშა და ისხაკ თავდიდიშვილებს და აბრამ შაშუაშვილს.

✦ ამ დღეებში ჩვენ გამოცხადებული გვქონდა წმ. ნინოს საქალო სასწავლებლის კურსდასრულებულ ქალთა სახელი და გვარები, მათ რიცხვში გამორჩენილი იყვენ: ტატლავა თამარი, ბათანოვა ელენე, ჯიმშერაშვილი მარიამი და აფაქიძე მ.

✦ ახალგაზდა მგოსნის ტაიფუნის „საღამო—მინიატურები“—პირველი საღამო, როგორც ეს უკვე გაზეთებში იყო გამოცხადებული, გაიმართება შაბათს, 5 ივლისს დ. ჭიათურაში 6 განყოფილებით ახალგაზდა მგოსანთა, მუსიკოსთა და მსახიობთა მონაწილეობით, ხოლო 6 ივლისს ქ. ბათომში.

ვალეობა; 3 ბავშვის მოვლა; 4 ფიზიკური აღზრდა; 5. ცუდი ზნე-ჩვეულება, ცრუმორწმუნოება; 6. გონების განვითარება; 7. ნების განმტკიცება; 8. ზნეობის განვითარება და 9. სარწმუნოება.

✦ ამ თვის შუა რიცხვებიდან ქართველი სტუდენტობა შეუდგა სამეცნიერო და სალიტერატურო კრებულის „ცხოვრება და მეცნიერება-“ს ბეჭდვას. კრებული დასურათებული იქნება და ერთ თვეში უკვე დაურიგდებათ ხელის მოწერლებს. გამოსელისას ეღირება 6 აბაზი.

✦ **საკოოპერაციო კურსები.** სამრეველო სკოლების მასწავლებელთა ინიციატივით და მის ყოველად სამღვდელოების იმერეთის ეპისკოპოზის გიორგისა და სათანადო მთავრობის ნებართვით, სასულიერო სასწავლებლის შენობაში (არქიელის გორაზე) დღეიდან—21 ივნისიდან „კოოპერაციის“ რედაკტორი იასონ გამილაია იწყებს კოოპერაციაზე სისტემატიური ლექციების კითხვას შემდეგის პროგრამით: 1) შესავალი: კოოპერაციის ზნეშენელობა და მისი თანამედროვე მდგომარეობა საზღვარგარეთ, რუსეთში და ჩვენში; კოოპერაციის სხვადასხვა ფორმები; მისი კლასიფიკაცია; 2) მომხმარებელი, სამეურნეო და საკრედიტო კოოპერატივების ორგანიზაცია და პრაკტიკა; 3) საშუამავლო აპერაციებზე (ადგილობრივ ნაწარმოებთა კოოპერატიულთან გასაღება). ლექციები გაიმართება ყოველდღე საღამოს 6½ საათიდან. დასწრება უფასოა ყველასათვის, მხოლოდ საჭიროა წინასწარ ჩაწერვა, რაც შესაძლოა ეკონომიურ გზეთების კანტორა იმერეთში. კურსები გაგრძელდება 2 იულისამდი. ჩაწერილია უკვე 100-მდი სოფლის მასწავლებელი. თუ მსმენელთა რიცხვმა იმატა, მეცადინობა გადავა ქალაქის თეატრში.

✦ ქარაგასლის ქუჩა ექ. ჭოლოშვილის სახლის მახლობლათ ანტისანიტარულ მდგომარეობაში იმყოფება. საჭიროა სანიტარული კომისია ამ ქუჩას მეტ ყურადღებას მიაქცევდეს.

24 ივნისს ბალახვანის ქუჩაზე მახვილაძის სახლში, მოხდება საჯარო ვაჭრობა ბიკტორ მახვილაძის მოძრავი ქონებისა, რომელიც შეფასებულია 299 მანეთად.

# თფილისი

**კავკასიის საეკონომიო ადწერას** დასაბეჭდათ საერობო თანხიდან გადადებულია საგეოგრაფო საზოგადოების განკარგულებაში 7.500 მან. საგეოგრაფიო საზოგადოებამ მეფის მოადგილის საბჭოს სთხოვა, ახლავე მისცეს ეს ფული. საბჭომ საკანონმდებლო დაწესებულებაში ბარჯთალრიცხვის დამტკიცებამდი თხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებლათ სცნო.

— **საქართველოში კეღეთა განთავისუფლების 50 წლის თავი** შესრულდება მომდინარე წლის 22 ნოემბერს. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ დაადგინა, ეს დღე იდღესასწაულოს. ამ ისტორიული დღის დღესასწაულის პროგრამის შედგენა საგანგებო კომისიას მიენდო, რომელშიაც შედიან: გ. ვ. ზერცალოვი, ვ. ი. რცხილაძე და ი. ო. იოსელიანი.

— **სამეურნეო გამოფენა.** მომავალ შემოდგომაზე ბაკოში სამეურნეო გამოფენა გაიმართება. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ თავისი მხრით საუკეთესო ექსპონატების პატრონთათვის 31 სხვადასხვა ჯილდო დანიშნა.

**„ეფეხის ტეკლასნ“ს** პირველი 16 ტაები უკვე გადაუთარგმნია რუსულად მგოსანს კ. ბალმონტს. მგოსანმა თარგმანი გამოუგზავნა ქ-ნ თამარ იოსების ასულს ყანჩელისას.

**ძველი ტაძრების განახლება** საგანგებო ხელოვნებათა წამახალისებელ კავკასიის საზოგადოებასთან არსებული სამხატვრო-საარქეოლოგიო ჯგუფი ამ დღეებში მცხეთას მიემგზავრება წმ, ჯვრის ტაძრის დასათვალიერებლათ და შესასწავლად. დათვალიერებას კავშირი აქვს ამ ტაძრის განახლებასთან.

**ბოლიტეხნიკუმის** მოსაწყობათ სახელმწიფო ხაზინიდან ერთდროულათ გადაიდება 700,000 მან. ხოლო შემდეგში ყოველწლიურათ გადაიდება პოლიტეხნიკუმის შესანახათ 400,000 მან.

**ქართველ სასოფლო-სამეურნეო** საზოგადოების საბჭოს კრება 18 ივნისს მოხდა. საბჭომ განიხილა საკითხი იაფფასიან წიგნაკების გამოცემის შესახებ სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგიდან, განსაკუთრებით მევენახობისა, მეფუტკრეობიდან და მეფრინველეობიდან. არჩეულ იქნა სარედაქციო კომისია, რომელსაც დაევალა დასაბეჭდი მასალების დამზადება. კომისიის წევრებათ აირჩიეს: ი. ო. იოსელიანი, პ. გ. მელია და ვ. ი. რცხილაძე.

მცხეთაში მერძეობის ცენტრალური სადგურის დაარსების საკითხი საბჭომ შემდეგი კრებისთვის გადასდეა.

**ახალი სასტუმროები.** თფილისში არს ხდება ახალი საზოგადოება „ბუფალტერთა საზოგადოება“, რომლის წესდებაც მთავრობამ უკვე დამტკიცა.

## ბ-ნი მრ. რობაქიძის ლექცია.

(პარველი თხზეულების).

გუშინ, საღამოთი, ქუთაისის თეატრში ბ-ნმა გრიგოლ რობაქიძემ წაიკითხა თავისი ლექციი: „გამარჯვება თუ დამარცხება“? (ი. გედევანიშვილის პიესის „სინათლე“-ს განხილვა).

ლექციი მეტის მეტი მკაცრი და დაუშვებელი გამოდგა.

პატივცემულმა ლეკტორმა არათუ „დაასამარა“, როგორც თვითონა სთქვა,—პიესა „სინათლე“ და ყოველგვარ კრიტიკის გარეშე დააყენა, არამედ გაჭიკცხა და „დასამარა“ თვით ქართველი საზოგადოების ესტეტიური გრძნობა და განცდანი... ლეკტორის აზრით, ქართველობა ჯერ არ არის ესთეტიურად მოძზადებული, იმის ჯერ ვერ შეუქმნია სრული ესთეტიური ნაწარმოებნი და ვერც შეჰქმნის მას, თუ იგი მარად ეამს „პროვინციალურის სულით“ იქნება გაჟღენთილია. რასა ჰქვიან ეს „პროვინციალური სული“ ლეკტორმა სავსებით ვერ განმარტა, მაგრამ ცხრა ტყავი კი გააძრო. ტყავი გაიძრო აგრეთვე ქართველ საზოგადოებასაც—ველურები, უკულტურონნი გვიწოდა—და გაჰკიცხა იგი „სინათლის“ ასე მოწონებისთვის“. თვით „სინათლე“ კი არც დრამაა, არც ზღაპარი, არც ხელოვნური ნაწარმოები, არამედ იგი რაღაც სიბოიყვისა და ველურობის ნაყოფია,—ადგილ-ადგილ „ავლაბრული“ კილოთი დაწერილია“.

მართალი გითხრათ, თმა ყალყზე მიდგებოდა, როცა მესმოდა ბ-ნ რობაქიძის სწორედ რომ „ფიზიოლოგიურ განცდათა“ გამომწვევი რიხიანი ძხილები საზოგადოთ ქართველების არარაობისა“*).

— „,აბა მიჩვენეთ ერთი რიგიანი ქართველი... ისეთი ქართველი, როგორიც მე მესმის... ასეთი ქართველი არ არის! ვიცნობდი ერთადერთ ქართველს, მაგრამ ისიც მოკვდა... მე ამ დავსახლებულ იმ ქართველს, სხვა ქართველი კი არ არის, აბა, მაჩვენეთო“‘! კვლავ გადმოგვძახა სცენიდან.

— აი, თუნდა თქვენა მეთქი, ბ. ლეკტორო! უნდა მეპასუხნა პარტერიდან, მაგრამ ამ დროს ჩემდა უნებურად გავიფიქრე ნეტა ვინ არის მეთქი „,ის ერთადერთი ქართველი“‘ და ენა ვეღარ მოვიბრუნე...

ლეკტორი კი ჰქუხდა და სჭექდა სცენაზე, თვალებს ატრიალებდა, სახეცა და წარბ-წამწამ-ყურებს ათამაშებდა... მგონია ეშმარიტ „,ფიზიოლოგიურ განცდაში“‘ იყო.

ლაპარაკობდა ესტეტიკაზე... არისტოტელზე... ისეზე... ამბავი სიმბოლიტიკაზე...

ლაპალაკობდა არეულად, აღშფოთებით და ბოლოს დასასკვნა:

— „,სინათლე“‘ არც სიმბოლისტური ნაწარმოებია! ვინც მას სიმბოლისტურ ნაწარმოებათა სთვლის, იგი უკულტურო და ველურიაო...

ასე ლაზათიანათ შეამკო ბატონმა რობაქიძემ ქართველი საზოგადოება „,სინათლეს“ ერთად და პაუეთიურად დასასრულა:

— ვინც „,ფიზიოლოგიურ განცდის“ მოხებეთ მოინდომებს საქართველოს აყვავებს, „,ისა პიროველად მე ჩავცემ გულში ლახვარსაო!“‘

ფეხის ქუსლებზე შემოტრიალდა ბატონი ლეკტორი და კულისებში გავარდა. ლექციი დამთავრდა.

ხალხი ერთხანს ცივ-წყალ გადასხმულსავით იდგა, მერე კი აკა იქ მოისმა ტაშის ცემა, რომელიც თანდათან გაძლიერდა.

დარბაზი ხალხით იყო სავსე და უმრავლესობა უკმაყოფილო დარჩა ბ-ნ რობაქიძის ლექციით...

მოკლე წერილში ძნელია ბ-ნ რობაქიძის ლექციის გარჩევა, მით უფრო რომ ძნელია უკმათ გათვალისწინება—მოგონება ყველი იმისი, რაც იმან ილაპარაკა ჭრელ და უცნაურ სიტყვებით. ამიტომ ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ამ ლექციას, ვინაიდან იგი დიდათ საყურადღებოა არა, როგორც ლექციი მარტო, არამედ, როგორც „,განცდა“‘ იმ ახალ მოდის ქართველ ფილოსოფოსებისა, რომელთაც საქართველო ჯობი ჰგონიათ, რომელი ჯობიც სურთ ამოაშრონ მხოლოდ თავისის ფილოსოფიით. ამათ ჰგონიათ, რომ მხოლოდ მათ შეიგნეს, შეისმინეს, შეითვისეს და განიცადეს ხელოვნება და ესთეტიკა, დანარჩენი ქართველები კი ველურები არიან!...

ვურჩევთ ახალგაზდა ლეკტორს მეტი პატივისცემით მოეპყრას ქართველ საზოგადოებასა და ქართველ მწერლებს და სიტყვების რახარუხისა და პირად აღშფოთების გამოთქმის ნაცვლად მეცნიერულ კრიტიკით აღიჭურვოს ხოლმე. ამის ძალლონე შესწევს, თუმცა სცენაზე თავი ისე უჭირავს, როგორც არ შეეფერება კულტურულან ახალგაზრდას.

რაც შეეხება თვით „,სინათლის“‘ კრიტიკას, ზოგიერთებში არ შეიძლება არ დაეთანხმოთ პატივისცემულ ლეკტორს (ასეთი ნაკლი წინათაც შენიშნა საზოგადოებამ და რამდენადაც ვიცი, თვით ავტორმაც,) მაგრამ სავსებით „,დასამარება“‘ სინათლისა, როგორც ეს ინება ბ-ნმა ლექტორმა უსამართლობაც არის და გაუგებრობაც. მაგრამ ამაზე შემდეგ.

**აა ეკალაძე.**

—✦—

*) ლეკტორი ხშირად ხმარობდა სიტყვას „ფიზიოლოგიური განცდა“‘. თუმცა არ აუხსნია, როგორ ესმის მას თითონ ეს ტერმინი. კ.

## მაზარალებელი ადათების შესახებ.

სოფლის ხალხი რომ თანდათან იღვიძებს, ამაში ეჭვი არ არის, მაგრამ სრულს გამოღვიძებამდი ჯერ ბევრი უკლია. ჩვენი ტურფა და ლამაზი ქვეყნის სოფლები ერთნაირ განვითარების საფეხურზე არ დგანან. რამდენათ აღმოსავლეთისაკენ მიეძალებით, იმდენათ სოფლის მასა სულ უფროდაუფრო დაბლა დგას შენგები განვითარების მხრით. მაგალითად ქვემო იმერეთი ზემო იმერეთზე უფრო შენგებულია. თუ გურია-სამეგრელოს და ქვემო იმერეთის გულშემატკივარნი, მწუხარებით აღნიშნენ ხალხის მაენე-მაზარალებელ ადათებს ლოგობებსა და მიცვალებულის ტირილს და მათი გადავარდნისთვის ზრუნვენ, მაშინ რაღა უნდა ვსთქვათ ზემო-იმერეთის სოფლების შესახებ, სადაც ამ ველებურ ადათებს ბევრათ უფრო ღრმად აქვს ფესვი გამდგარი ხალხში, ზარალიც მეტი მოაქვს და საზოგადოებაც, შედარებით, ნაკლებათ შენგებულია. ამ საქმეს აქეთ გარორკეცებული ზრუნვა და შრომა სჭირდება. როგორც ვიცით, უმეტეს ნაწილათ სოფლის ინტელიგენციას ღვდელი და მასწავლებელი შედგენენ. ეს გამათლების ორი ბურჯი ხელიხელ ჩაკიდებული უნდა ზრუნავდეს საზოგადოთ ხალხის კეთილდღეობისთვის და კერძოთ ზეკეთ დასახელებული მაზარალებელი ადათების მოსასპობათ. მაგრამ, სამწუხაროდ, მთლათ ჩვენს ქვეყანაში, და განსაკუთრებით კი ზემო იმერეთში, ამას ვერ ვხედავთ. ღვდელი და მასწავლებელი ძლიერ დაშორებული არიან ერთმანეთს. ღვდელი ყოველთვის მდგომი ხალხში ტრიალობს, მაგრამ არაფერს კითხულობს, მასწავლებელი კითხულობს, მაგრამ ხალხს გაურბის—არ ეკარება, ეს ორი კულტუროსანი პირი დღემდი ვერ დაამხანაგებულან, ერთმანეთში სოლიდარობა აზრებისა ვერ დაუმყარებიათ და ამის გამო ხალხის ჭირვარამს შეერთებული ძალით არ ებრძვიან. საუბედუროთ, არიან იმისთანა სოფლელებიც, სადაც ამ ორი პირის შორის გამწვავებული ბძოლაა და ერთმანეთს სათოფეთ არ ინდომებენ. რომ ამ ადათებში ბევრი მზარეა—ეს ყოველივე ეჭვს გარეშეა. ავიღოთ თუნდა ჩვენებური წესი მიცვალებულის დასაფლავებისა. ადამიანის დაკარგვასთან, ერთად ოჯახი ნადგურდება ზედმეტი ხარჯისაგან ეცემა ნივთიერათ ვარდება ვალში და შემდეგ, შესაძლებელია, ისე დაქვეითდეს ქონებრივათ, რომ ველარც კი წამოდგეს ფეხზე. დასაფლავების დროს ამ ხარჯის მოსპობა—აუცილებელია, ვინაიდან სიკვდილმა არ იცის იმის განსაზღვრა აქვს რამე თუ არა ოჯახს. ოჯახის მეთაური კი, ჩვეულების მიხედვით, იძულებულია ივალოს ფული, იყიდოს სანოვაგე და მით შეკრებილ ხალხს გაუმასპინძლდეს და ამნაირათ თავისი მიცვალებული გააპატიოსოს, როგორც ამას ხალხი უწოდებს.

გული გიკვდება, როდესაც ზემო იმერეთის სოფლებში მიცვალებულის ტირილზე აუარებელი სანოვაგე პირდაპირ ფუჭდება და იყრება.

დღეობებსა და ნათლა-ქორწილებს, შეიძლება, დადებითი მხარეებიც ქონდეს (ყოველივე შემთხვევაში ქორწილსა და ნათლობას მაშინ იხდის კაცი, როცა მას გარემოება ხელს უწყობს), მაგრამ ჩვენებური მიცვალებულების გასვენება და ალაპები,—ღმერთმა ველურ ხალხშიაც ნუ ქნას. ჩაგონება უნდა ხალხს, რომ ასეთი ცუდი, გამანადგურებელი, უბრალო ხარჯი მიცვალებულის დასაფლავების დროს მოსპოს. და ეს ჩაგონება კი უნდა იკისროს სოფლის ღვდელმა და მასწავლებელმა.

მაშ, აღიმაღლეთ თქვენი ხმა, სულიერო მამებო და მასწავლებლებო!

**მ. ფარტხანელი.**

# რუსეთი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

**დეპ. ჯ. ჩხეიძის საქმე.**

სენატორმა შულგინმა, რომელსაც მინდობილი აქვს ჩხეიძის საქმის გამოძიება, დაკითხა ჩხეიძეს შესახებ უკანასკნელის მიერ სათათფირონში წარმოთქმული სიტყვისა, რისთვისაც იგი პასუხისგებაშია მიცემული. ჩხეიძემ განუცხადა შულგინს, რომ იგი თავს სცნობს დამნაშაეედ და თვით პასუხისგებაში მიცემა ითხოვა. „სახელმწიფო სათათფიროს წესებისა“ მე-14 მუხლს და ამიტომ „ეარს ეაქმო ეკუთვნოდეს“ — ჩვენ ვნახავთ. ნენა ტარატარიმა შულგინმა გაიკითხა ტიფლისელი ადამიანები, ბევრი მასალა და ავრეთვე მასალა მუშათა შორის მომხდარ გაფიცვების შესახებ, რაც, ბულგინის აზრით, ითმა მაჩვენებელია, თუ რა გავლენა აქვს დეპუტატის სიტყვას მუშათა მასაზე. (რ. ს.)

**გეკლოთა კრება.**

მოსკოვისა და პეტერბურგის ვექილებმა შუამდგომლობით მიმართეს იუსტიციის სამინისტროს ნება დართოს მოწვეულ იქნას ამა წლის დამლეგს სრულიად რუსეთის საფიც ვექილთა და მათ თანაშემწეთა კრება. ეს კრება უნდა შესდგეს რუსეთის ადვოკატურის არსებობის ორმოცდაათი წლის თავის აღსანიშნავათ. იუსტიციის სამინისტროში ამ კრებას ძლიერ უარყოფით უყურებენ და ფიქრობენ, რომ სამინისტროო დართავს ნებას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საორგანიზაციო კომიტეტში მიიღებენ მონაწილეობას სასამართლოს უწყების მოხელენი. არ უნდათ აგრეთვე რომ კრება მოხდეს მოსკოვს, არამედ პეტერბურგს. თუ დართეს ნება, კრებას მთლად დაუქვემდებარებენ სამინისტროს მიერ შედგენილ პროგრამას. კრებას დაესწრება იუსტიციის სამინისტროს ერთი მოხელე, რომელსაც უფლება ექნება დახუროს კრება, თუ იგი გადასცდა პროგრამას. ამბობენ, რომ სამინისტრო შეეკითხება შინაგან საქმეთა მინისტრს და, თუ მან უარყოფითი პასუხი მისცა, კრება ნაადრევათ იქნება მიჩნეულია.

(რ. ს.)

**„მოკავშირენი“ და ბრნს.**

ოდესაში, „რუსის ძალის კავშირის“ დეპუტაციამ პოლკოვნიკ ტუმანსკის მეთაურობით ინახულა ყველა ადგილობრივ გაზეთების რედაქციები და განაცხადა, რომ „,კავშირმა“‘, გრაფონაჩალნიკის სოსნოვსკის რჩევით გადასწყვეტა გაფრთხილოს გაზეთები, რათა მოსპობილ იქნას გაზეთებში დაცინვა „,საუკეთესო რუსი ადამიანებისა“‘—ვ. მ. პურიშკევიჩისა და ნ. ე. მარკოვისაო. დეპუტაციამ განაცხადა, რომ „,მოკავშირეთა“‘ ხელმძღვანელნი თავის თავზე აღარ იღებენ შეაკავებონ თავი მოკავშირეებს, რომელნიც შურს იძიებენ „,მემარცხენე“‘ გაზეთებზე და განაცხადეს რა ეს—ჩვენ ხელს ვიბანთო. (რ. ს.)

**ბრ. მერეტკოვსკის საქმე.**

პროფ. მერეტკოვსკის საქმის გამოძიება უკვე დასრულდა. პროკურატურამ დაადგინა მიეცეს სამართალში არ. მერეტკოვსკი. გადაწყვეტა: ახლავე შეუდგენ მის ძებნას. თუ სახალხო განათლების სამინისტროს არ ეცოდინება სად იმყოფება ბრ. მერეტკოვსკი, იმ შემთხვევაში საზღვარ გავზავნილი იქნება მის საძებრათ სპეციალური აგენტი. (რ. ს.)

# უცხოეთი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ჩინეთი და ტაიკტი.**

ტიბეტის დელეგატებმა სიმლში, კონფერენციაზე გაუცხადეს ჩინეთის წარმომადგენლებს: ტიბეტს მიენიჭოს ავტონომია, გაუქმებულ იქნას ტიბეტში მყოფი ჩინეთის ადმინისტრაცია, გაიყვანონ ჯარი და უარი სთქვან ტიბეტის პროვინციებად დაყოფის უფლებაზე. ჩინეთს ექნება ტიბეტზე მხოლოდ სუვერენიტეტი. ტიბეტის დელეგატებმა განაცხადეს, რომ, თუ მათი მოთხოვნილებები არ იქნება მიღებული, ისინი მიატოვებენ კონფერენციასო. (რ. ს.).

**სუფრაგისტის დატუსაღება.**

ლონდონიდან ცნობაა: პოლიციამ დაატუსაღა სუფრაგისტი ქალი, რომელსაც განზრახვა ჰქონდა მოეკლა ინგლისის მეფე, როცა უკანასკნელი მოგზაურობდა სამრეწველო ოლქებში. სუფრაგისტს ჩემოდანში უნახეს ასაფეთქებელი მასალა, ბენზინი, ცეცხლის მოსაკიდებელი ლარი და რეზინის ხელთათმანი. (რ.).

**ქ-ნ კაიოს კასამრდაგა.**

ქ-ნ კაიოს საქმე, რომელმაც მოკლა გაზ. „ფიგაროს“ რედაკტორი კალმეტი, გაირჩევა 20—25 ივლ. (ახ. სტ.) სასამართლოს სხდომის დარბაზი გაზომეს და უნდათ გაიგონ, თუ რამდენი ადგილი იქნება საზოგადოებისთვის. გენერალ-პროკურორის აზრით სხდომის დარბაზში არ უნდა იქნან შეშვებულნი ქალები, გარდა

სავაჭრო სახლი
## Ო. ᲒᲠᲘᲙᲘᲞᲚᲘᲡ შვილების
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.
ᲨᲐᲑᲐᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲗᲘᲗ

მევენახეთა საყურადღებოდ.
მიღებულია და იყიდება
## ᲫᲚᲘᲔᲠ ᲖᲝᲛᲘᲔᲠ ᲤᲐᲡᲐᲓ
ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲝᲒᲘᲠᲓᲘᲡ ᲤᲣᲜᲒᲘᲚᲘ, ᲫᲐᲒᲛᲔᲜᲘᲡ ᲡᲘᲗᲘᲗ.
ნამდვილი ინგლისური
## ᲨᲐᲑᲘᲐᲜᲘᲡ, Მ. Უ.

ᲬᲜᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲥᲘᲛᲝ
## ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ ᲕᲔᲠᲛᲝᲠᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲚᲐᲢᲐᲪᲘᲡᲐ, ᲒᲝᲒᲘᲠᲓᲘᲡ ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲔᲚᲘᲔᲑᲘ.
ᲛᲐᲮᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲠᲣᲩᲘᲜᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐ.

ᲓᲔᲙᲝ. ᲚᲐᲛᲞᲔᲣᲚᲘᲡ, ᲐᲠᲬᲐᲛᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ, ᲐᲕᲘᲫᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐ Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.
## Ნ. Გ. ᲠᲐᲤᲐᲔᲚᲝᲕᲘ ᲓᲐ Პ. Ნ. ᲩᲐᲙᲕᲔᲢᲐᲫᲘᲡᲐ.
ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმარტურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სადავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულო-ნინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვიქრობა დანიშნულიანადდი, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგანთ სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტრატეხნიკი.
პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა.

ᲓᲔᲙᲝ. ᲚᲐᲛᲞᲔᲣᲚᲘᲡ, ᲐᲠᲬᲐᲛᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ, ᲐᲕᲘᲫᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐ Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.
## Ფ. Ს. ᲤᲘᲚᲘᲞᲝᲕᲘᲡᲐ.
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმარტურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ საღავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულო-ნინოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის“ სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვიქრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.
პატივისცემით ფ. ფილიპოვისა.


## ᲓᲐᲑᲐ-ᲡᲝᲤᲔᲚᲘ.

დ. ᲧᲘᲐᲠᲐᲚᲘ. ადგილობრივმა ინტელიგენციის ერომმა პატარა ᲯᲒᲣᲤᲣᲛᲐ განიზრახა გამართოს ეკდოშვილის საღამო, მისივე მონაწილეობით. თვით ირიოლინ ეკდოშვილს გარდა მოწვეული არიან ამ საღამოზე ია ეკალაძე, ᲯᲐᲯᲣ ᲯᲝᲠᲯᲘᲙᲘᲐ, ცვარნამი, დათიკო მესხი, ტაიფუნი, თფილისიდან კი თვით ეკდოშვილს მოყავს ერთი ლეკტორი და ერთი ახალგაზრდა პოეტი. საღამო მეტათ შინაარსიანი იქნება: ადგილობრივი სკენის მოყვარენი მარო მდივნისა და სანდალიძის დახმარებით ერთ ან ორ მოქმედებიან პიესას დადგმენ, წაკითხება ლექცია, მერე დივერტისმენტი და ბოლოს ადგილობრივ მომღერალთა გუნდი, გვეულესიანის ლოტბარობით, სიმღერით დასასრულებენ. საღამო განზრახულია 29 ივანობისთვეს.

საზოგადოთ უნდა ვსთქვა, რომ დ. ყვირილა მოკლებულია ყოველგვარ შინაარსიანსა და სასარგებლო გასართობებს, მცხოვრებნი უფრო ძლიერ ეტანებიან კინემატოგრაფს, ჭიდაობას და სხვა ასეთნაირ გასართობებს და თითქმის სრულიად არ აქცევენ ყურადღებას წარმოდგენებს, რომელიც დროგამოშვებით იმართება ხოლმე ადგილობრივ კლუბის დარბაზში. აქაურ ნოქრებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი: წამლათ რო გინდოდესთ ერთ ვერავის დაინახავთ ან სამეთხელოში, ან წარმოდგენებზე—დროს ატარებენ ბანქოს თამაშით და სამიკიტნოებში ღვინის სმით.

მახსოვს, როცა საზოგადოებას თავისი თეატრი ჰქონდა (ახლა დამშვარია), სადაც მუდამ წარმოდგენები იმართებოდა ხოლმე ხალხით ყოველთვის გაჭედილი იყო, ახლა კი ასეთს პატარა სათეატრო დარბაზში, როგორიც არის კლუბის პატარა ზალა, სავსე კი არა ნახევრათ ცარიელი არის და ეს, ჩემის აზრით, იისხენა მხოლოდ იმით, რომ საზოგადოება გადაეჩვია თეატრს, წარმოდგენებს, იმას შემდეგ, რაც ადარ არსებობს თეატრი.

მოკვდა თეატრი და თან წარიღო მისდამი სიყვარულიც...

ᲓᲐᲑᲐᲓᲘᲐᲜᲘ.

ს. ᲒᲔᲚᲐᲗᲘ. ეს სოფელი ქუთაისის ახლო, ექსი ვერსის მანძილზეა, ჩრდილოაღმოსავლეთის მხრით. სოფლის თავში გადმოყურებს შესანიშნაი გელათის მონასტერი. ს. გელათი სავსეა ᲮᲣᲪᲔᲑᲘᲗ, ბაღებითა და ვენახებით; მას გარშემო არტყია ზამთარ-ზაფხულ მწვანე ფოთლით შემოსილი ტყე და დასავლეთის მხრით გადაშლილია ვრცელი მიდამოები წყალწითელასი. ერთი სიტყვით, სოფელი გელათი შემკულია ბუნებით და წარმოადგენს მშვენიერ ბაღს. მაგრამ. მიუხედავად ამისა, ხალხი აქ ძლიერ ღარიბია, უმთავრესი სახსარი ცხოვრებისა არის ხვნა-თესვა, მაგრამ აქ სახნავ-სათესი მინდვრის სივიწროე ძლიერ უშლის ხელს მცხოვრებთ საკმაო მოსავალი მოიყვანონ. აქ სულ ცოტა მოიძებნება იმისთანა კაცი, რომელსაც მოდიოდეს წლის საყოფი მოსავალი და ამიტომ უმრავლესობა იძულებულია სადმე იშოოს სამუშაური.

წრევანდელი შიშილობით ხალხი ძლიერ შევიწროებულია, აქ სიმინდი საჩუქრათ მხოლოდ ათიოდე კაცს დაერიგეს და ისიც მცირეთ. სწორეთ სიღარიბის მიზეზია, რომ ამ სოფელში რაიმე კულტურული დაწესებულება ფეხს ვერ იკიდებს. ათიოდე კაცი რომ თავს მოიყრის ყველას სხვადასხვა აზრი გამოეხატება და საქმე კი საქმეთ რჩება.

ამისთანა შვენიერ, ბუნებით შემკობილ სოფელში სასოფლო გზები ძლიერ ცუდი არის და არაფრის გზით არ იქნა მათი შეკეთება, რადგანაც, ზევით როგორც მოგახსენეთ, ხალხი მიუყოლელია.

რაც შეეხება სწავლა-განათლებას, ამასზე ხომ აქაურები მოკლებული არიან.

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც აქ არსებობდა საეკლესიო-სამრევლო ერთკლასიანი სკოლა და იქნება, კარგათაც წასულიყო ამ სკოლის საქმე, რომ არ დაეხურათ. ბევრი ვიოვგლახის შემდეგ, აქ, ოთხი წლის წინათ, ხელმეორეთ გაიხსნა სამონასტრო-სამრევლო სამგანყოფილებანი სკოლა, რომლის მასწავლებელიც ს. ნიორაძეა. ისაა მხოლოდ ამ სოფლის კულტურული დაწესებულება, სხვა არა მოიძებნება, რაც სამწუხარო მოვლენას წარმოადგენს. და არც შეიძლება რამე აქ. ამის მაგვარი მოეწყოს, ვინაიდან ხალხი ძლიერ გულგრილათ უყურებს თვით ისეთ სასარგებლო კულტურულ დასესებულებსაც, როგორც სამკითხველოა. დიდი ცდა და მეცადინეობა უნდა ადგილობრივ მოწონავე პირებს, რომ ხალხი გამოიყვანონ ამ სიბნელიდან და შეაგნებინოს კულტურული დაწესებულებების საჭიროება სათთვის.

Ე. ᲩᲣᲐᲫᲔ.

## ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ქ. ფოთის ღარიბთა სასარგებლოთ დამშარე სახოგადოების მიერ 4-ს და 26 მაისს ქალაქის ბაღში გამართულ დოტარეა-ადეგრის შემოსავალ-გასავალის.

ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ:

შემოვიდა შეიწირულობა ფულათ 75 მან. და 3 აბაზი. ბაღში შესასვლელი ბილეთების გაყიდვით 268 მ. და 6 შ. 2 საბელიდაწერა ფუთი. სგან—526 მ. 52 კ. „ბომბანერკების“, „კონფეტისა“ და ვარდების გაყიდვით—87 მ. 21 კაპ., „პეი-შეოს“ და „ტუმბოარკას“ თამაშით—55 მ. და 7 მაური. დარჩენილი ნივთების, ტყის და სხ. გაყიდვით—24 მ. და 8 კ., მებუფეტე ტორონჯანისგან—10 მან. სულ: 1047 მ. 6 კ.

ᲒᲐᲡᲐᲒᲐᲡᲘ:

რალლეს და კომპ.—25 მ. 54 კ. ტუღუშის სტამბას—30 მ. 10 შ. აკრიტოვს მაშხალებისთვის—12 მ., აფიშების გაკვრა და დარიგება 6 მ., ტილოს „ვივეესკა“ სეირნობისა—6 მ., ჟვანიას ნოხებისთვის 24 მ., ფირალოვს სხვადასხვა ნივთისათვის 56 მ. და 6 შ., ო. ჟვანიას ახალი საკერი მანქანის, „ბომბანერკების“ და სხ. 78 მ. და 5 შ. საკვლევ. მარკების იმპ. მარ. უწყებ. 31 მ. 84 კ., მსახურებს—17 მ. გუგუშვილს საწერ მანქანაზე მუშაობისთვის 5 მ. თორონჯაძეს „ბუფეტის“ ხარჯებისთვის 13 მ. და 3 აბ., ნ. ღლონტს ნაყიდ საქონლისთვის—34 მ. და 15 შ., ბილეთებისა და ქაღალდების შემზადება 5 მ. და 2 აბ., დურგალს მ. 4 მ., საღამოს სამუშაოსთვის ქალაქის გამგეობის დარაჯს ზავადოვსკეს 6 მ., სიფუშტო მარკების 5 მ. და 10 შ., ინწკირველს, მელიქოვს, კეკეკინიას, გაბისონ, იას ზავადების და სხ. წვრილმანებისთვის სულ 58 მ. და 64 კ.

გასავალი სულ: 420 მ. 32 კ. დარჩა წმინდა შემოსავალი 626 მ. 74 კ.

შემდეგ ნუმერში გამოსაღდება სია შემომწირველთა.


რედაქტორ-გამომცემელი გ. ᲮᲔᲚᲔᲘᲫᲔ.



ამ მოკლე ხანში ქ. ქუთაისში გამოვა იუმორისტული ალმანახი.

## „ᲒᲖᲘᲙᲘ“

მსურველთ შეუძლიანთ მოგვაწოდონ მასალები შემდეგი მისამართით: Кутаисъ, типографія „Братство“ для „Базики“,

## ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲡᲠᲕᲔᲚᲝᲒᲘᲜᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲨᲠᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲗ

ამავე კურსებთან იხსნება საშუალო სასწავლებლების ყველა კლასის უმაღლესი სპეციალური სასწავლებლებისა, და განსაკუთრებით, მიწისმზომლობისა, სამხედრო სასწავლებლებისა და სამასწავლებლო ინსტიტუტისათვის მოსამზადებელი კურსები. ამის შესახებ პირადათ დაკითხვა შეიძლება კურსების კანცელარიაში. დილის 9—12-ᲛᲔ და საღ. 8—9 საათამდი.

მისამართი: თფილისი, ᲮᲣᲨᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, № 8 ტელ. 10—30.

## ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ ამით ახ�ადებს, რომ: 1) იმ პირთა, რომელთაც სურთ შეტანილ იქნენ საბოლოო საარჩევნო სიაში და მონაწილეობა მიიღონ ქუთაისის ქალაქის საბჭოს ᲮᲛᲘᲡᲐᲜᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲡ-ᲨᲘ მომავალი ოთხი წლისთვის (1914—1918 წ. წ.), საქალაქო დებულების მე-8 მუხლის თანახმად, ᲣᲡᲐᲗᲣᲛᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲬᲘᲢᲔᲜᲘᲡ ᲗᲐᲗᲘᲡ ᲖᲔ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲮᲔᲚᲘᲡ „ᲔᲪᲔᲚᲝᲛᲘᲛᲔᲑᲘ“ ნახევარი წლის გადასახადზე მეტი.

2) ის პირნი, რომელნიც საბოლოო საარჩევნო სიაში არ იქნებიან შეტანილნი, არჩევნებში მონაწილეობას კარგავენ.

3) საქალაქო დებულების 24-ე სტ. მე-17 განყოფ., მე-2 მუხ. თანახმად, იმ თანამეშამფლებენ, რომელნიც ქალაქის გამგეობის მიერ პირველ საარჩ. სიაში შეტანილი არიან საერთო სახელით „მეშვეიდრეები“ ამა და ამ პირისა“, უნდა წარმოადგინონ თავის დროზე—და არა უგვიანეს მდგომარე 1914 წლის აგვისტოს 1 რიცხვისა—კანონით დაწესებული საბუთი, სადაც ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲪᲐᲚᲪᲐᲚᲙᲔ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲘ, რომ ეს მემკვიდრეები შეტანილ იქნენ საბოლოო საარჩევნო სიაში. 5—1

## Ნ. Ს. ᲢᲔᲠᲙᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ
## ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲔᲑᲘ




ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲘᲐᲤᲐᲓ

შინები, ნაწილები და მოწყობილობანი კონკურენციის გარეშე
ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲘᲐᲤᲐᲓ
ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პატიესკურანტები უფასოთ.

## ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲗ.

წრეულს თქვენ დაგჭირდებათ შეკეთება თქვენი სახლის, მაშასადამე უეჭველათ საჭირო იქნება თქვენთვის საღებავი მასალები, თავისათვან ცხადია, დაიქირავებთ მღებარს (მალიარს) და წახვალთ რომელიმე სავაჭროში საღებავების საყიდლათ, იმ იმედით რომ თქვენ მიერ ნაქირავები მღებარი შეატყობს საღებავი მასალების ღირსებას, მართალია ეს? სულაც არა! საღებავების ღირსებას თვალით კარგი გამოცდილი ქიმიკოსიც ვერ შეატყობს, მაშ როგორ სჯობია მოიქცეთ? გირჩევთ მიიქცეთ

## ᲛᲛ. ᲔᲓ. ᲓᲐ Პ. ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝᲨᲘ
## ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი, რადგან მათ მიერ მოტანილი საღებავი მასალები შემოწმებულია ქუთაისის ქიმიკურ ლაბორატორიაში და აღმოჩნდა საუკეთესო ღირსების. აქვე იშოვით კარის, სარკმლისა და ფეჩის მოწყობილობას, აგრეთვე ალიბასტრს, ცემენტს, სახურავ თუნუქს თეთრსა და შავს, ფანჯრის მინებს შავალერს და სხვა მრავალს. რკინეულ საქონელს.



Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ. (საკ. ტაძართან).

Ა. ᲗᲐᲑᲐᲒᲠᲘᲡ ᲛᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.

მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანები, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.

ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲓᲐᲙᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ.

ვყიდით ნისიათაც, თვიური შემოტანით.



სტამბა „ᲫᲚᲝᲑᲐ“, პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელოვის.